**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/49

ქ. ბათუმი 06 მაისი, 2019 წ.

**ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანებისა და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 3.05.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 25 მარტის №01-02/42 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი და კონკურსის საფუძველზე **საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივ დეპარტამენტში საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით** ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ოთხი წლის ვადით (**2023 წლის 10 მაისამდე**) არჩეული იქნეს **ლაშა ხოზრევანიძე**.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს **2019 წლის 10 მაისიდან**.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**